



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ინდექსი

ინდექსი (ლათ. index – სია, რეესტრი, მიმანიშნებელი, აგრეთვე საჩვენებელი თითი), რიცხვი, ასო ან სიმბოლოთა სხვა კომბინაცია, რ-იც მიუთითებს ელემენტის ადგილს სიმრავლეში. ი. შეიძლება ახასიათებდეს რაიმე სისტემის მდგომარეობასაც, მაგ., აქტივობას, მწარმოებლურობას, განვითარების დონეს, რაიმეს ცვლილებას. არსებობს, მაგ., ქარი-სიცივის ი., რ-იც ამინდის სიმკაცრეს განსაზღვრავს; სხეულის მასის ი.; სამეცნ. ნაშრომთა ციტირების ი.; მკვლევრის (ან სამეცნიერო კოლექტივის, ან დაწესებულების) სამეცნ. პროდუქტიულობის ჰირშის ი. (ეკონ. მეცნიერებებისათვის – ჰერფაინდალის ი.); კრიტიკული ი-ები (ფლუქტუაციურ არეში სხვადასხვა თერმოდინამიკურ მახასიათებელთა ანომალიების აღმწერი); სიბლანტის ი.; ვულკანური აქტივობის ი.; ინკვიზიციის მიერ აკრძალულ გამოცემათა ი.; მონაცემთა ბაზის ი.; საფოსტო ი. და სხვ.

ეკონომიკაში იყენებენ დისტრიბუციის (განაწილების) ი-ს, სამომხმარებლო ფასების (ინფლაციის) ი-ს, ფასებისა და შემოსავლების ი-ს, საფონდო (ბირჟის დინამიკის) ი-ს და სხვ.

მათემატიკაში იყენებენ ვექტორული ველის განსაკუთრებული წერტილის ი-ს, რიცხვის ი-ს მოდულით შედარებისას, ქვეჯგუფის ი-ს და სხვ. ელიფსური ოპერატორების ი-ის თეორია ითვლება XX ს. მათემატიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევად. ატია-ზინგერის კლასიკურმა თეორემამ ელიფსური ოპერატორების ანალიზური და ტოპოლოგიური ი-ების ტოლობის შესახებ (1963; ფილდსის პრემია – 1966; აბელის პრემია – 2004) დასაბამი მისცა მათემატიკის ისეთი მიმართულებების განვითარებას, როგორცაა ტოპოლოგიური K-თეორია, არაკომუტატური დიფერენციალური გეომეტრია, სინგულარული სივრცეების ტოპოლოგია და ანალიზი და სხვ.

ს ა ქ რ თ ვ ე ლ ო შ ი ნ. მუსხელიშვილის, ი. ვეკუას, ნ. ბერიკაშვილის და სხვ. მათემატიკოსთა მიერ მიღებულია მნიშვნელოვანი შედეგები სინგულარულ ოპერატორთა განსაზღვრული კლასის, ე. წ. ნიოტერის ოპერატორების ი-ისტვის.

ლიტ.: Б и ц а д з е А. В., С а м а р с к и й А. А., О некоторых простейших обобщениях линейных эллиптических задач, «Доклады АН СССР», 185(4), 1969; К о р д ю к о в Ю. А., Теория индекса и некоммутативная геометрия на многообразиях со слоением, УМН, 64(2), 2009; К у т а т е л а д з е С. С., Основы функционального анализа, 3-е изд., Новосибирск, 2000; С а р д а н а ш в и л ი Г. А., Геометрия и квантовые поля. Современные методы теории поля, т. 4, М., 2000; S c h i s k T., L2-index theorems. KK-theory and connections, «Journal of Mathematics», 11, N. Y., 2005.
